სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

საბაკალავრო პროგრამა

Bachelor's program

# ეკონომიკა

# Economics

თბილისი

2025

პროგრამის აღწერილობა

| | |
|---|---|
| პროგრამის დასახელება<br>(ქართულად და ინგლისურად) | ეკონომიკა<br>Economics |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია<br>(ქართულად და ინგლისურად) | ეკონომიკის ბაკალავრი<br>Bachelor of Economics |
| პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება | **240 კრედიტი:**<br>**თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსები - 55 კრედიტი** (მათ შორის სავალდებულო - 50 კრედიტი, არჩევითი - 5 კრედიტი)<br>**ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები - 125 კრედიტი**, მათ შორის:<br>ა) ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსები - 95 კრედიტი<br>ბ) ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 30 კრედიტი.<br>**დამატებითი პროგრამა - 60 კრედიტი**[1] |
| სწავლების ენა | ქართული |
| პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი | **კოორდინატორი:** პროფესორი ეთერი ხარაიშვილი<br>**ხელმძღვანელები:**<br>აკადემიკოსი, პროფესორი ავთანდილ სილაგაძე<br>პროფესორი იური ანანიაშვილი<br>პროფესორი სიმონ გელაშვილი<br>პროფესორი რევაზ გველესიანი<br>პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი<br>პროფესორი მირიან ტუხაშვილი<br>პროფესორი ეთერ ხარაიშვილი<br>ასოცირებული პროფესორი მალხაზ ჩიქობავა |
| პროგრამაზე დაშვების წინაპირობა | საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს:<br>• სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, რომელმაც წარმატებით ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები;<br>• ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით |

[1] სტუდენტს შესაძლებლობა აქვს დამატებითი პროგრამის შესრულების ნაცვლად 60 კრედიტი შეავსოს დამატებით თავისუფალი კომპონენტის არჩევითი კურსებით.

| | |
|---|---|
| | და დადგენილ ვადებში დასაშვებია:<br>ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;<br>ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;<br>გ) პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.<br>• ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის სტუდენტი გარე ან შიდა მობილობის გზით. |
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი | **პროგრამის მიზანი.** პროგრამის მიზანია ინტეგრირებული ფუნდამენტური თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების მქონე კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება ეკონომიკის დარგის მრავალმხრივი მიმართულებით დასაქმებისათვის და განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად. |
| სწავლის შედეგები | საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული:<br><br>ცოდნა და გაცნობიერება<br>• აღწერს ეკონომიკის ფუნდამენტურ კონცეფციებს, პრინციპებს და თეორიებს;<br>• ხსნის ეკონომიკური მოვლენებს და ფაქტებს ეკონომიკური ცოდნის უახლესი ასპექტების გათვალისწინებით;<br>• გამოკვეთს ეკონომიკური საქმიანობისა და ბიზნეს გადაწყვეტილებების მოტივ, გამოვლენის ფორმებს, ეკონომიკის განვითარების ტენდენციებს და მოსალოდნელ შედეგებს.<br><br>უნარები<br>• აანალიზებს თეორიულ და პრაქტიკულ სიტუაციებს/განყენებულ მონაცემებს რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების გადასაჭრელად;<br>• წყვეტს რთულ და გაუთვალისწინებელ ეკონომიკური პრობლემებს ტრადიციული ეკონომიკური თეორიებისა და ზოგიერთი უახლესი |

| | |
|---|---|
| | მიდგომების გამოყენებით;<br>• ამზადებს გამოყენებით/კვლევით პროექტს წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით;<br>• წარადგენს ანალიზის შედეგად ჩამოყალიბებულ დასაბუთებულ დასკვნებს სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან კონტექსტისათვის შესაბამისი ფორმებით და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.<br><br>**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**<br>• ორგანიზებას უწევს განვითარებაზე ორიენტირებულ საკუთარ საქმიანობას ეთიკის პრინციპების დაცვით;<br>• გეგმავს შემდგომი სწავლის საჭიროებას საკუთარი ცოდნის შეფასების საფუძველზე. |
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი (დამატებითი სპეციალობა)[2] | ეკონომიკის დამატებითი სპეციალობის პროგრამის მიზანია გააცნოს სტუდენტებს თანამედროვე ეკონომიკის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები და გამოუმუშაოს მათ ეკონომიკური პროცესების ანალიზის საფუძველზე გადაწყვეტილებების მიღების უნარები, რაც ხელს შეუწყობს მათ კონკურენტუნარიანობის ზრდას შრომის ბაზარზე. |
| სწავლის შედეგები (დამატებითი სპეციალობა)[3] | პროგრამის კურსდამთავრებული:<br>**ცოდნა და გაცნობიერება**<br>• აღწერს ეკონომიკის ფუნდამენტურ კონცეფციებს, პრინციპებს და თეორიებს;<br>• გამოკვეთს ეკონომიკური საქმიანობის მოტივ, გამოვლენის ფორმებს, ეკონომიკის განვითარების ტენდენციებს და მოსალოდნელ შედეგებს.<br>**უნარი**<br>• აანალიზებს თეორიულ და პრაქტიკულ სიტუაციებს/განყენებულ მონაცემებს რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების გადასაჭრელად;<br>• წარადგენს ანალიზის შედეგად ჩამოყალიბებულ დასაბუთებულ დასკვნებს სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან კონტექსტისათვის შესაბამისი ფორმებით და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.<br>**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** |

[2] ორივე დამატებითი სპეციალობისთვის ერთნაირია

[3] ორივე დამატებითი სპეციალობისთვის ერთნაირია

| | |
|---|---|
| | • გეგმავს შემდგომი სწავლის საჭიროებს საკუთარი ცოდნის შეფასების საფუძველზე. |
| სწავლა-სწავლების მეთოდები | • ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი<br>• წერითი მუშაობის მეთოდი<br>• ჯგუფური მუშაობა<br>• დისკუსია/დებატები<br>• ახსნა–განმარტებითი მეთოდი<br>• თანამშრომლობითი სწავლება<br>• პროექტი/რეფერატი<br>• პრეზენტაცია<br>• დემონსტრირების მეთოდი<br>• გონებრივი იერიში<br>• შემთხვევის ანალიზი<br>• საექსპერტო შეფასებისა და სხვ. მეთოდი |
| შეფასების სისტემა | შეფასების სისტემა ითვალისწინებს:<br><br>(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;<br>(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;<br>(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;<br>(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;<br>(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.<br>ორი სახის უარყოფითი შეფასება:<br>(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;<br>(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში.<br><br>FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.<br><br>შეფასების ფორმები შედგება შუალედური და დასკვნითი შეფასებებისაგან. |

| | |
|---|---|
| | შეფასებებში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვრები და იგი ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებში.<br>შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები განსაზღვრულია თითოეული კურსის სილაბუსში. |
| დასაქმების სფეროები | ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს შეუძლია იმუშაოს ეკონომისტად და ექსპერტად სახელმწიფო და ბიზნეს-სტრუქტურებში. მისი საქმიანობა დაკავშირებულია ეკონომიკისა და ბიზნესის ნებისმიერ სფეროსთან. კერძოდ, კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროებია:<br>▪ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია;<br>▪ საქართველოს პარლამენტის აპარატი;<br>▪ საქართველოს მთავრობის კანცელარია;<br>▪ ეკონომიკური პროფილის სამინისტროები და უწყებები (ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სტატისტიკის ეროვნული სამსახური);<br>▪ საერთაშორისო ორგანიზაციები და მათი წარმომადგენლობები საქართველოში;<br>▪ საქართველოს ეროვნული ბანკი;<br>▪ საქართველოს კონტროლის პალატა;<br>▪ ნებისმიერი ორგანიზაციულ–სამართლებრივი და საკუთრების ფორმის საწარმოები და ორგანიზაციები;<br>▪ ბანკები და სხვა ფინანსური დაწესებულებები;<br>▪ სასაქონლო, საფონდო და სავალუტო ბირჟები;<br>▪ არასამთავრობო ორგანიზაციები და ყველა ის ორგანიზაცია, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთანაა დაკავშირებული. |
| სწავლის საფასური ქართველი და უცხოელი სტუდენტებისათვის | სწავლების საფასური შეადგენს 2250 ლარს წელიწადში საქართველოს მოქალაქეებისათვის.<br>სწავლის საფასური უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის განისაზღვრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს ხელისუფლების მიერ დადებული და რატიფიცირებული შეთანხმებების მიხედვით. |
| პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი | პროგრამა სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების შესაბამისად უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალით, ასევე, მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით.<br><br>სტუდენტთა განკარგულებაშია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის |

| | |
|---|---|
| | (თსუ, X - მაღლივი კორპუსი) მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და არსებული რესურსები, მათ შორის: ბიბლიოთეკა, საპრეზენტაციო პროექტორით აღჭურვილი აუდიტორიები, კომპიუტერული ლაბორატორიები, რესურს-ცენტრები, სტუდენტთა მომსახურების ცენტრი და სხვ. სტუდენტთათვის გათვალისწინებულია შესაბამისი რაოდენობით კომპიუტერული ტექნიკა. |
| პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა | პროგრამის ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილია ფაკულტეტისა და პროგრამის ბიუჯეტით. |
| დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში) | |

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: *ეკონომიკა და ბიზნესი*

ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: *ეკონომიკა*

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: *ეკონომიკა*

სწავლების საფეხური: *ბაკალავრიატი*

კრედიტების რაოდენობა: *240 ECTS*

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები: **აკადემიკოსი, პროფესორი ავთანდილ სილაგაძე, პროფესორი იური ანანიაშვილი, პროფესორი სიმონ გელაშვილი, პროფესორი რევაზ გველესიანი, პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი, პროფესორი მირიან ტუხაშვილი, პროფესორი ეთერ ხარაიშვილი, ასოც. პროფესორი მალხაზ ჩიქობავა**

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: **თსუ აკადემიური საბჭოს 29 ივნისის 2011 წლის დადგენილება №57, დანართი 77** https://www.tsu.ge/ka/legalakad/40134

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): **2011-2012**

**აკრედიტაციის მინიჭების თარიღი:** საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 28 დეკემბრის № 1429197 გადაწყვეტილება https://eqe.ge/ka/deqars/408/show

| №№ | სასწავლო კურსის სახელწოდება | სტატუსი | ECTS | სტუდენტის საათობრივი დატვირთვა | | | | სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა | სწავლების სემესტრი | | | | | | | | ავტორი / ავტორები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | საკონტაქტო | | დამოუკიდებელი | სულ | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | |
| | | | | ლექცია | სემინარი/ პრაქტიკული | | | | | | | | | | | | |
| თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსები: სულ 55 კრედიტი<br>მათ შორის სავალდებულო - 50 კრედიტი, არჩევითი - 5 კრედიტი | | | | | | | | | 20 | 20 | 5 | 5 | | | 5 | | |
| თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები: სულ 50 კრედიტი | | | | | | | | | 20 | 20 | 5 | 5 | | | | | |
| 1 | უცხო ენა 1 | სავალდებულო | 5 | 0 | 90 | 35 | 125 | წინაპირობის გარეშე | 5 | | | | | | | | თსუ ენების ცენტრის ლექტორები |
| 2 | უცხო ენა 2 | სავალდებულო | 5 | 0 | 90 | 35 | 125 | უცხო ენა 1 | | 5 | | | | | | | თსუ ენების ცენტრის ლექტორები |
| 3 | მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის 1 | სავალდებულო | 5 | 30 | 30 | 65 | 125 | წინაპირობის გარეშე | 5 | | | | | | | | ო. ფურთუხია;<br>უ. გოგინავა;<br>ა. აპლაკოვი |
| 4 | მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის 2 | სავალდებულო | 5 | 30 | 30 | 65 | 125 | მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის 1 | | 5 | | | | | | | ო. ფურთუხია;<br>უ. გოგინავა;<br>ა. აპლაკოვი |
| 5 | ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკის საფუძვლები | სავალდებულო | 5 | 30 | 30 | 65 | 125 | მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის 1 | | | 5 | | | | | | ო. ფურთუხია |
| 6 | ინფორმატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში | სავალდებულო | 5 | 0 | 45 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | 5 | | | | | | | | დ. სიჭინავა;<br>რ. სეთურიძე;<br>თ. მელქოშვილი;<br>თ. მუნჯიშვილი;<br>მ. ტიკიშვილი |
| 7 | ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები 1 (ბიზნესის გარემო) | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | 5 | | | | | | | | თ. შენგელია |

| | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები 2 (ბიზნესის ორგანიზაცია) | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები 1 (ბიზნესის გარემო) | | 5 | | | | | | | თ. შენგელია |
| 9 | შესავალი ფინანსურ აღრიცხვაში | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | | 5 | | | | | ლ. საბაური |
| 10 | ქართული ენა აკადემიური მიზნებისთვის | სავალდებულო | 5 | 30 | 15 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | | 5 | | | | | | | დ. თვალთვაძე<br>ქ. გოჩიტაშვილი<br>გ. შაბაშვილი<br>ნ. შარაშენიძე |
| **თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები: სულ 5 კრედიტი**<br><br>სტუდენტს შეუძლია აირჩიოს სხვადასხვა ფაკულტეტიდან ნებისმიერი სასწავლო კურსი, მათ შორის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის შემდეგი ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი არჩევითი კურსები | | | | | | | | | | | | | | | 5 | | |
| 1 | ინოვაციური სამეწარმეო პოლიტიკა: თეორია და პრაქტიკა | არჩევითი | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | | | | | 5 | | რ. გველესიანი;<br>გ. ერქომაიშვილი;<br>გ. ზედიანაშვილი |
| 2 | იურიდიული სტატისტიკა | არჩევითი | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | | | | | 5 | | მ. მინდორაშვილი;<br>შ. ფარჯიანი |
| 3 | ინსტიტუციური ეკონომიკის საფუძვლები | არჩევითი | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | | | | | 5 | | გ. მაკალათია;<br>ს. კობახიძე |
| 4 | ფირმის ეკონომიკა | არჩევითი | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | | | | | 5 | | ნ. ლობჟანიძე |
| 5 | სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკა | არჩევითი | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | | | | | 5 | | გ. გაფრინდაშვილი |
| 6 | მონაცემთა ანალიზი R-ში | არჩევითი | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | | | | | 5 | | ი. ანანიაშვილი<br>გ. კოხრეიძე |
| 7 | გენდერული სტატისტიკა (Gender Statistics) | არჩევითი | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | ინგლისური ენა B2 | | | | | | | 5 | | ს. გელაშვილი;<br>ლ. ჩარექიშვილი |
| 8 | უძრავი ქონების ეკონომიკა (Real Estate Economics) | არჩევითი | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | მიკროეკონომიკის პრინციპები;<br>მაკროეკონომიკის პრინციპები;<br>ინგლისური ენა B2 | | | | | | | 5 | | მ. ნაცვალაძე;<br>ნ. ზერაია |
| 9 | მიკროეკონომიკა (Microeconomics) | არჩევითი | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | მიკროეკონომიკის პრინციპები;<br>ინგლისური ენა B2 | | | | | | | 5 | | ი. ნაცვლიშვილი |
| 10 | მენეჯერული ეკონომიკა (Managerial Economics) | არჩევითი | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | მიკროეკონომიკა 2;<br>ინგლისური ენა B2 | | | | | | | 5 | | ნ. კუტივაძე |

| | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11 | მსოფლიო ეკონომიკა (World Economy) | არჩევითი | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | ინგლისური ენა B2 | | | | | | | 5 | | თ. ზუბიაშვილი |
| 12 | მაკროეკონომიკა 1 (Macroeconomics 1) | არჩევითი | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | მაკროეკონომიკის პრინციპები; ინგლისური ენა B2 | | | | | | | 5 | | ნ. კაკულია; მ. ჩიქობავა |
| 13 | სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის (Statistics for Business and Economics) | არჩევითი | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | ინგლისური ენა B2 | | | | | | | 5 | | ს. გელაშვილი; მ. მუჩიაშვილი |
| 14 | მეწარმეობის ეკონომიკა (Economics of Entrepreneurship) | არჩევითი | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | მიკროეკონომიკის პრინციპები; ინგლისური ენა B2 | | | | | | | 5 | | ი. ნაცვლიშვილი |
| 15 | მოსახლეობა და მსოფლიო განვითარება (Population and World Development) | არჩევითი | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | ინგლისური ენა B2 | | | | | | | 5 | | თ. ზუბიაშვილი |
| 16 | საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტები (Priorities of the Georgian Economic Policy) | არჩევითი | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | მაკროეკონომიკის პრინციპები; ინგლისური ენა B2 | | | | | | | 5 | | ე. ლეკაშვილი |
| 17 | გამოყენებითი ეკონომიკური პოლიტიკა (Applied Economic Policy) | არჩევითი | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | ეკონომიკური პოლიტიკა 1; ინგლისური ენა B2 | | | | | | | 5 | | ლ. ქავთარაძე |
| **ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები: სულ 125 კრედიტი. მათ შორის სავალდებულო - 95 კრედიტი, არჩევითი მოდული - 30 კრედიტი** | | | | | | | | | 10 | 10 | 15 | 15 | 20 | 20 | 15 | 20 | |
| **ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები: სულ 95 კრედიტი** | | | | | | | | | 10 | 10 | 15 | 15 | 15 | 15 | 10 | 5 | |
| 1 | ეკონომიკური ისტორია | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | 5 | | | | | | | | ა. სილაგაძე; თ. ათანელიშვილი; ლ. ბახტაძე; შ. ვეშაპიძე; თ. ზუბიაშვილი |
| 2 | მიკროეკონომიკის პრინციპები | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | 5 | | | | | | | | ე. მექვაბიშვილი; მ. ნაცვალაძე |
| 3 | მაკროეკონომიკის პრინციპები | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | მიკროეკონომიკის პრინციპები | | 5 | | | | | | | ე. მექვაბიშვილი; მ. ნაცვალაძე |
| 4 | სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის 1 | სავალდებულო | 5 | 30 | 30 | 65 | 125 | წინაპირობის გარეშე | | 5 | | | | | | | ს. გელაშვილი; ნ. აბესაძე |
| 5 | სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის 2 | სავალდებულო | 5 | 30 | 30 | 65 | 125 | სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის 1 | | | 5 | | | | | | ს. გელაშვილი; მ. მინდორაშვილი; მ. ხმალაძე; ნ. აბესაძე |

| | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | მიკროეკონომიკა 1 | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | მიკროეკონომიკის პრინციპები | | | 5 | | | | | | ე. ხარაიშვილი |
| 7 | მიკროეკონომიკა 2 | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | მიკროეკონომიკა 1 | | | | 5 | | | | | ე. ხარაიშვილი |
| 8 | მაკროეკონომიკა 1 | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | | 5 | | | | | ნ. კაკულია;<br>მ. ჩიქობავა |
| 9 | მაკროეკონომიკა 2 | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | მაკროეკონომიკა 1 | | | | | 5 | | | | ნ. კაკულია;<br>მ. ჩიქობავა |
| 10 | ეკონომეტრიკა 1 | სავალდებულო | 5 | 30 | 30 | 65 | 125 | მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის 1 | | | 5 | | | | | | ი. ანანიაშვილი |
| 11 | ეკონომეტრიკა 2 | სავალდებულო | 5 | 30 | 30 | 65 | 125 | ეკონომეტრიკა 1 | | | | 5 | | | | | ი. ანანიაშვილი |
| 12 | საერთაშორისო ეკონომიკა 1 | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | | | 5 | | | | ა. სილაგაძე |
| 13 | საერთაშორისო ეკონომიკა 2 | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | საერთაშორისო ეკონომიკა 1 | | | | | | 5 | | | ა. სილაგაძე |
| 14 | ეკონომიკური პოლიტიკა 1 | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | მაკროეკონომიკის პრინციპები | | | | | | 5 | | | რ. გველესიანი;<br>გ. ერქომაიშვილი;<br>ი. გოგორიშვილი;<br>ე. ლეკაშვილი |
| 15 | ეკონომიკური პოლიტიკა 2 | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | ეკონომიკური პოლიტიკა 1 | | | | | | | 5 | | რ. გველესიანი;<br>გ. ერქომაიშვილი;<br>ი. გოგორიშვილი;<br>ე. ლეკაშვილი |
| 16 | ეროვნულ ანგარიშთა სისტემა | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის 2 | | | | | 5 | | | | მ. მინდორაშვილი |
| 17 | შრომის ეკონომიკა | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | მაკროეკონომიკის პრინციპები | | | | | | 5 | | | მ. ტუხაშვილი |
| 18 | ეკონომიკური აზრის ისტორია | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | | | | | 5 | | ა. სილაგაძე;<br>ჯ. ხარიტონაშვილი |
| 19 | პროფესიული პრაქტიკა | სავალდებულო | 5 | 75 | | 50 | 125 | – პროგრამის სასწავლო კურსებიდან 200 კრედიტის დაგროვება;<br>– შესაბამისი მოდულის 15 კრედიტი;<br>– სტუდენტი უნდა იყოს დამამთავრებელ სემესტრში. | | | | | | | | 5 | ნ. კაკულია;<br>მ. ჩიქობავა |

| | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები: სულ 30 კრედიტი**<br>**სასწავლო კურსები დაჯგუფებულია მოდულებად. სტუდენტი ირჩევს ერთ მათგანს ჩამოთვლილთაგან:**<br>1. საერთაშორისო ეკონომიკა<br>2. ეკონომეტრიკა და მათემატიკური ეკონომიკა<br>3. ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკა<br>4. ეკონომიკური პოლიტიკა<br>5. შრომის ეკონომიკა<br>6. მენეჯერული ეკონომიკა<br>7. მაკროეკონომიკა | | | | | | | | | | | | | 5 | 5 | 5 | 15 | |
| | **მოდული: საერთაშორისო ეკონომიკა** | | | | | | | | | | | | **5** | **5** | **5** | **15** | |
| 1 | მსოფლიო ეკონომიკა | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | | | 5 | | | | თ. ზუბიაშვილი |
| 2 | საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | | | | 5 | | | ა. სილაგაძე<br>ლ. ბახტაძე<br>შ. ვეშაპიძე<br>თ ზუბიაშვილი<br>რ. ფუტკარაძე |
| 3 | მოსახლეობა და მსოფლიო განვითარება | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | | | | | 5 | | თ. ზუბიაშვილი |
| 4 | ტრანსნაციონალური კორპო-რაციები და საერთაშორისო ინვესტიციები | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | | | | | | 5 | ლ. ჯამაგიძე |
| 5 | საერთაშორისო ფინანსური ბაზრები და ინსტიტუტები | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | | | | | | 5 | ლ. ბახტაძე |
| 6 | გამოყენებითი კვლევითი პროექტი | სავალდებულო | 5 | 15 | | 110 | 125 | **გამოყენებითი კვლევითი პროექტის არჩევის წინაპირობაა:** 200 კრედიტის დაგროვება (მ.შ. შესაბამისი მოდულის 15 კრედიტი);<br>**ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობაა:** პროგრამის ყველა სასწავლო კურსის ათვისება | | | | | | | | 5 | რ. გველესიანი;<br>გ. ერქომაიშვილი |
| | **მოდული: ეკონომეტრიკა და მათემატიკური ეკონომიკა** | | | | | | | | | | | | **5** | **5** | **5** | **15** | |

| | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მათემატიკა II | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის 2 | | | | | 5 | | | | ა. არსენაშვილი |
| 2 | ოპერაციათა კვლევა | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | | | | 5 | | | ა. არსენაშვილი |
| 3 | ეკონომეტრიკა 3 | სავალდებულო | 5 | 30 | 30 | 65 | 125 | ეკონომეტრიკა 2 | | | | | | | 5 | | ი. ანანიაშვილი |
| 4 | თამაშთა თეორია ეკონომისტებისთვის | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის 2 | | | | | | | | 5 | მ. ჯულაყიძე |
| 5 | მათემატიკური მოდელირება ეკონომიკაში | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის 2 | | | | | | | | 5 | ი. ანანიაშვილი |
| 6 | გამოყენებითი კვლევითი პროექტი | სავალდებულო | 5 | 15 | | 110 | 125 | **გამოყენებითი კვლევითი პროექტის არჩევის წინაპირობაა:** 200 კრედიტის დაგროვება (მ.შ. შესაბამისი მოდულის 15 კრედიტი); **ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობაა:** პროგრამის ყველა სასწავლო კურსის ათვისება | | | | | | | | 5 | რ. გველესიანი;<br>გ. ერქომაიშვილი |
| | **მოდული: ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკა** | | | | | | | | | | | | 5 | 5 | 5 | 15 | |
| 1 | სოციალური სტატისტიკა | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | | | 5 | | | | ს. გელაშვილი;<br>ზ. შონია;<br>მ. გიორგობიანი |
| 2 | ფისკალური და მონეტარული სტატისტიკა | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის 2 | | | | | | 5 | | | მ. მუჩიაშვილი;<br>ნ. ასლამაზიშვილი |
| 3 | ტურიზმის სტატისტიკა | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის 1 | | | | | | | 5 | | ნ. აბესაძე;<br>ქ. ჩიტალაძე |
| 4 | საერთაშორისო სტატისტიკა | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | | | | | | 5 | ს. გელაშვილი;<br>ნ. ასლამაზიშვილი |
| 5 | მოსახლეობის სტატისტიკა | სავალდებულო | 5 | 30 | 30 | 65 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | | | | | | 5 | ს. გელაშვილი;<br>მ. ხმალაძე |

| | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | გამოყენებითი კვლევითი პროექტი | სავალდებულო | 5 | 15 | | 110 | 125 | **გამოყენებითი კვლევითი პროექტის არჩევის წინაპირობაა:** 200 კრედიტის დაგროვება (მ.შ. შესაბამისი მოდულის 15 კრედიტი); **ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობაა:** პროგრამის ყველა სასწავლო კურსის ათვისება | | | | | | | | 5 | რ. გველესიანი;<br>გ. ერქომაიშვილი |
| | მოდული: ეკონომიკური პოლიტიკა | | | | | | | | | | | | 5 | 5 | 5 | 15 | |
| 1 | ინდუსტრიული პოლიტიკის თეორია და პრაქტიკა | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | მაკროეკონომიკის პრინციპები | | | | | 5 | | | | ე. ლეკაშვილი |
| 2 | მეწარმეობის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | მიკროეკონომიკის პრინციპები | | | | | | 5 | | | გ. ერქომაიშვილი |
| 3 | განაწილების ეკონომიკური პოლიტიკა | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | მაკროეკონომიკის პრინციპები | | | | | | | 5 | | ლ. ხურცია |
| 4 | სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკა | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | | | | | | 5 | გ. გაფრინდაშვილი |
| 5 | კონკურენციის პოლიტიკა | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | მაკროეკონომიკის პრინციპები | | | | | | | | 5 | გ. გაფრინდაშვილი |
| 6 | გამოყენებითი კვლევითი პროექტი | სავალდებულო | 5 | 15 | | 110 | 125 | **გამოყენებითი კვლევითი პროექტის არჩევის წინაპირობაა:** 200 კრედიტის დაგროვება (მ.შ. შესაბამისი მოდულის 15 კრედიტი); **ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობაა:** პროგრამის ყველა სასწავლო კურსის ათვისება | | | | | | | | 5 | რ. გველესიანი;<br>გ. ერქომაიშვილი |
| | მოდული: შრომის ეკონომიკა | | | | | | | | | | | | 5 | 5 | 5 | 15 | |
| 1 | მოსახლეობის ეკონომიკა | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | მაკროეკონომიკის პრინციპები | | | | | 5 | | | | მ. შელია;<br>მ. ლობჟანიძე;<br>მ. თორია |
| 2 | სოციალური პოლიტიკა | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | მაკროეკონომიკის პრინციპები | | | | | | 5 | | | მ. შელია |

| | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | დასაქმება და შრომის ბაზრის რეგულირება | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | მაკროეკონომიკის პრინციპები | | | | | | | 5 | | მ. ცარციძე |
| 4 | შრომითი მიგრაცია | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | მაკროეკონომიკის პრინციპები | | | | | | | | 5 | მ. ტუხაშვილი |
| 5 | შრომის ანაზღაურება | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | მაკროეკონომიკის პრინციპები | | | | | | | | 5 | მ. ცარციძე;<br>ნ. ლაცაბიძე |
| 6 | გამოყენებითი კვლევითი პროექტი | სავალდებულო | 5 | 15 | | 110 | 125 | **გამოყენებითი კვლევითი პროექტის არჩევის წინაპირობაა:** 200 კრედიტის დაგროვება (მ.შ. შესაბამისი მოდულის 15 კრედიტი);<br>**ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობაა:** პროგრამის ყველა სასწავლო კურსის ათვისება | | | | | | | | 5 | რ. გველესიანი;<br>გ. ერქომაიშვილი |
| | მოდული: მენეჯერული ეკონომიკა | | | | | | | | | | | | 5 | 5 | 5 | 15 | |
| 1 | მენეჯერული ეკონომიკა I | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 82 | 125 | მიკროეკონომიკის პრინციპები | | | | | 5 | | | | ი. ნაცვლიშვილი |
| 2 | ფირმის ეკონომიკა | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | | | | 5 | | | ნ. ლობჟანიძე |
| 3 | დარგობრივი ბაზრების ეკონომიკა | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | | | | | 5 | | ე. ხარაიშვილი;<br>ნ. დამენია |
| 4 | მეწარმეობის ეკონომიკა | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | მიკროეკონომიკის პრინციპები | | | | | | | | 5 | ი. ნაცვლიშვილი |
| 5 | კეთილდღეობის ეკონომიკა I | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | მიკროეკონომიკა 2 | | | | | | | | 5 | ი. გაგნიძე |
| 6 | გამოყენებითი კვლევითი პროექტი | სავალდებულო | 5 | 15 | | 110 | 125 | **გამოყენებითი კვლევითი პროექტის არჩევის წინაპირობაა:** 200 კრედიტის დაგროვება (მ.შ. შესაბამისი მოდულის 15 კრედიტი);<br>**ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობაა:** პროგრამის ყველა სასწავლო კურსის ათვისება | | | | | | | | 5 | რ. გველესიანი;<br>გ. ერქომაიშვილი |

| | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მოდული: მაკროეკონომიკა | | | | | | | | | | | | 5 | 5 | 5 | 15 | |
| 1 | ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | | | 5 | | | | ნ. კაკულია;<br>მ. ჩიქობავა |
| 2 | ეკონომიკური ზრდა | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | მაკროეკონომიკის პრინციპები | | | | | | 5 | | | ნ. კაკულია;<br>მ. ჩიქობავა |
| 3 | ეკონომიკური განვითარება | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | მაკროეკონომიკის პრინციპები | | | | | | | 5 | | რ. აბესაძე |
| 4 | მაკროეკონომიკური პროგნოზირება | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | მაკროეკონომიკის პრინციპები | | | | | | | | 5 | ნ. კაკულია;<br>მ. ჩიქობავა |
| 5 | მაკროეკონომიკური პოლიტიკა | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | | | | | | 5 | ნ. კაკულია;<br>მ. ჩიქობავა |
| 6 | გამოყენებითი კვლევითი პროექტი | სავალდებულო | 5 | 15 | | 110 | 125 | **გამოყენებითი კვლევითი პროექტის არჩევის წინაპირობაა:** 200 კრედიტის დაგროვება (მ.შ. შესაბამისი მოდულის 15 კრედიტი);<br>**ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობაა:** პროგრამის ყველა სასწავლო კურსის ათვისება | | | | | | | | 5 | რ. გველესიანი;<br>გ. ერქომაიშვილი |
| | **დამატებითი პროგრამა: სულ 60 კრედიტი**<br>(სტუდენტი ირჩევს ნებისმიერ დამატებით პროგრამას) | | | | | | | | | | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | |
| | **სულ: 240 კრედიტი** | | | | | | | | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | |

## ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა

## დამატებითი პროგრამა ძირითადი სპეციალობის "ბიზნესის ადმინისტრირება" სტუდენტებისათვის

| №№ | სასწავლო კურსის სახელწოდება | სტატუსი | ECTS | სტუდენტის საათობრივი დატვირთვა | | | | სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა | სწავლების სემესტრი | | | | | | | | ავტორი / ავტორები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | საკონტაქტო | | დამოუკიდებელი | სულ | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | |
| | | | | ლექცია | სემინარი/ პრაქტიკული | | | | | | | | | | | | |
| 1 | მიკროეკონომიკა 1 | არჩევითო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | მიკროეკონომიკის პრინციპები | | | 5 | | | | | | ე. ხარაიშვილი |
| 2 | მეწარმეობის ეკონომიკა | არჩევითი | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | მიკროეკონომიკის პრინციპები | | | | | | | | | ი. ნაცვლიშვილი |
| 3 | მენეჯერული ეკონომიკა I | არჩევითი | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | მიკროეკონომიკის პრინციპები | | | | 5 | | | | | ი. ნაცვლიშვილი |
| 4 | მიკროეკონომიკა 2 | არჩევითი | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | მიკროეკონომიკა 1 | | | | | | | | | ე. ხარაიშვილი |
| 4 | მაკროეკონომიკა 1 | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | | | 5 | | | | ნ. კაკულია; მ. ჩიქობავა |
| 5 | მაკროეკონომიკა 2 | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | მაკროეკონომიკა 1 | | | | | | 5 | | | ნ. კაკულია; მ. ჩიქობავა |
| 6 | ეკონომეტრიკა 1 | სავალდებულო | 5 | 30 | 30 | 65 | 125 | მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის 1 | | | 5 | | | | | | ი. ანანიაშვილი |
| 7 | ეკონომეტრიკა 2 | სავალდებულო | 5 | 30 | 30 | 65 | 125 | ეკონომეტრიკა 1 | | | | 5 | | | | | ი. ანანიაშვილი |
| 8 | საერთაშორისო ეკონომიკა 1 | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | | | 5 | | | | ა. სილაგაძე |
| 9 | საერთაშორისო ეკონომიკა 2 | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | საერთაშორისო ეკონომიკა 1 | | | | | | 5 | | | ა. სილაგაძე |

| | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10 | ეკონომიკური პოლიტიკა 1 | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | მაკროეკონომიკის პრინციპები | | | | | | | 5 | | რ. გველესიანი;<br>გ. ერქომაიშვილი;<br>ი. გოგორიშვილი;<br>ე. ლეკაშვილი |
| 11 | ეკონომიკური პოლიტიკა 2 | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | ეკონომიკური პოლიტიკა 1 | | | | | | | | 5 | რ. გველესიანი;<br>გ. ერქომაიშვილი;<br>ი. გოგორიშვილი;<br>ე. ლეკაშვილი |
| 12 | შრომის ეკონომიკა | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | მაკროეკონომიკის პრინციპები | | | | | | | 5 | | მ. ტუხაშვილი |
| 13 | ეკონომიკური ისტორია | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | | | | | | 5 | ა. სილაგაძე;<br>თ. ათანელიშვილი;<br>ლ. ბახტაძე;<br>შ. ვეშაპიძე;<br>თ. ზუბიაშვილი |
| | სულ: 60 კრედიტი | | | | | | | | | | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | |

## ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა

## დამატებითი პროგრამა სხვა ფაკულტეტის სტუდენტებისათვის

| №№ | სასწავლო კურსის სახელწოდება | სტატუსი | ECTS | სტუდენტის საათობრივი დატვირთვა | | | | სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა | სწავლების სემესტრი | | | | | | | | ავტორი / ავტორები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | საკონტაქტო | | | | | | | | | | | | | |
| | | | | ლექცია | სემინარი/ პრაქტიკული | დამოუკიდებელი | სულ | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | |
| 1 | ეკონომიკის პრინციპები | სავალდებულო | 10 | 45 | 45 | 160 | 250 | წინაპირობის გარეშე | | | 10 | | | | | | ე. მექვაბიშვილი |
| 2 | სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | | 5 | | | | | ს. გელაშვილი;<br>ნ. აბესაძე |
| 3 | ეკონომეტრიკა | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | ეკონომიკის პრინციპები | | | | 5 | | | | | ი. ანანიაშვილი |
| 4 | მიკროეკონომიკა | არჩევითი | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | ეკონომიკის პრინციპები | | | | | 5 | | | | ე. ხარაიშვილი |
| 5 | მენეჯერული ეკონომიკა I | არჩევითი | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | ეკონომიკის პრინციპები | | | | | | | | | ი. ნაცვლიშვილი |
| 6 | მაკროეკონომიკა | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | ეკონომიკის პრინციპები | | | | | 5 | | | | ნ. კაკულია;<br>მ. ჩიქობავა |
| 7 | საერთაშორისო ეკონომიკა | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | | | | 5 | | | ა. სილაგაძე |
| 8 | ეკონომიკური პოლიტიკა | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | ეკონომიკის პრინციპები | | | | | | 5 | | | რ. გველესიანი;<br>გ. ერქომაიშვილი;<br>ი. გოგორიშვილი;<br>ე. ლეკაშვილი |
| 9 | შრომის ეკონომიკა | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | ეკონომიკის პრინციპები | | | | | | | 5 | | მ. ტუხაშვილი |

| | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10 | ეკონომიკური ისტორია | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | | | | | 5 | | ა. სილაგაძე;<br>თ. ათანელიშვილი;<br>ლ. ბახტაძე;<br>შ. ვეშაპიძე;<br>თ. ზუბიაშვილი |
| 11 | ეკონომიკური აზრის ისტორია | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | | | | | | 5 | ა. სილაგაძე;<br>ჯ. ხარიტონაშვილი |
| 12 | სოციალური სტატისტიკა | სავალდებულო | 5 | 15 | 30 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | | | | | | 5 | ს. გელაშვილი;<br>მ. გიორგობიანი;<br>ზ. შონია |
| | სულ: 60 კრედიტი | | | | | | | | | | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | |

პროგრამის ხელმძღვანელის / ხელმძღვანელების / კოორდინატორის ხელმოწერა ______________________________

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ______________________________

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ______________________________

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა ______________________________

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ______________________________

თარიღი ______________ ფაკულტეტის ბეჭედი ______________

## დანართი: მოდულის შედეგები

### მოდული: საერთაშორისო ეკონომიკა

კურსდამთავრებული:

ცოდნა და გაცნობიერება

- აღწერს საერთაშორისო ეკონომიკის, საერთაშორისო ფინანსების და საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის ფუნდამენტურ პრინციპებს და თეორიებს, გლობალიზაციის კონტექსტში საერთაშორისო მიგრაციის ტენდენციებს;
- ხსნის სავალუტო ოპერაციების განხორციელების მექანიზმის თავისებურებებს, ტრანსეროვნული კომპანიების რისკების არსს და პირდაპირი ინვესტიციების ეკონომიკური ზემოქმედების შედეგებს;
- განაზოგადებს საერთაშორისო ეკონომიკის-ფინანსების ტენდენციებს, საერთაშორისო სავალუტო სისტემისა და ოპერაციების კანონზომიერებებს.

უნარი

- აფასებს ეკონომიკური ინტეგრაციის მაკროეკონომიკურ ეფექტებს, ევროპული ინტეგრაციის ცალკეულ სფეროებში გამოვლენილ გამოწვევებს, სავალუტო რისკის ჰეჯირების სხვადასხვა მეთოდს, სავალუტო დილერების, სპეკულანტების და სავალუტო ბაზრის სხვა მონაწილეების მოქმედების სტრატეგიებს სავალუტო ბაზარზე შექმნილი სიტუაციის შესაბამისად;
- აანალიზებს სავალუტო კურსზე გრძელვადიან და მოკლევადიან პერიოდში მოქმედ ფაქტორებს; საერთაშორისო და რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარების თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს, ევროკავშირის ძირითადი ინსტიტუტების როლს ეკონომიკურ ინტეგრაციაში;
- წყვეტს რთულ, გაუთვალისწინებელ ეკონომიკურ პრობლემებს საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის ძირითად ეკონომიკურ კონცეფციებისა და თეორიებზე დაყრდნობით და ზოგიერთი უახლესი მიდგომების გამოყენებით;
- ამზადებს გამოყენებითი/კვლევითი პროექტს წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით;
- წარადგენს ანალიზის შედეგად ჩამოყალიბებულ დასაბუთებულ დასკვნებს სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან შესაბამისი ფორმებით და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.

## მოდული:  ეკონომეტრიკა და მათემატიკური ეკონომიკა

კურსდამთავრებული:

**ცოდნა და გაცნობიერება**

- აღწერს გარკვეული სირთულის  მიკრო და მაკროეკონომიკურ  მოვლენებს და კანონზომიერებებს მათემატიკური მოდელირების მეთოდით;
- ავლენს ეკონომიკურ მოვლენებსა და მაჩვენებლებს შორის არსებულ მიზეზ-შედეგობრიობას სტატისტიკური მონაცემებისა და ეკონომეტრიკული ინსტრუმენტარის  საშუალებით;
- ხსნის ეკონომეტრიკული მოდელირების თავისებურებას დეტერმინირებული, სტოქასტიკური და შეზღუდული რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლადების სიტუაციებისთვის;
- აფასებს მიკროეკონომიკური ობიექტების დონეზე მიღებული გადაწყვეტილებების მართებულებას ოპერაციათა კვლევის მეთოდების (მათემატიკური პროგრამირებისა და თამაშთა თეორიის) გამოყენებით.

**უნარი**

- აანალიზებს  თეორიულ და პრაქტიკულ სიტუაციებს  რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების გადასაჭრელად;
- ამზადებს გამოყენებით/კვლევით პროექტს წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად და აკადემიური კეთილსინდისიერების  პრინციპების დაცვით;
- წარადგენს ანალიზის შედეგად ჩამოყალიბებულ დასაბუთებულ დასკვნებს სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან კონტექსტისათვის შესაბამისი ფორმებით და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.

## მოდული:  ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკა

კურსდამთავრებული:

**ცოდნა და გაცნობიერება**

- აღწერს  ეკონომიკისა და სოციალური სფეროს მახასიათებელი მაჩვენებლების გამოთვლის თანამედროვე  სტატისტიკური მეთოდოლოგიებს;
- ხსნის ეკონომიკის სხვადასხვა დარგში მიმდინარე ცვლილებების გამომწვევ ფაქტორებს ცოდნის უახლესი ასპექტების გათვალისწინებით;
- ადგენს ეკონომიკის განვითარების მიმდინარე და სამომავლო ტენდენციებს.

**უნარი**

- აანალიზებს ეკონომიკისა და სოციალური სფეროს დიდი მოცულობის სტატისტიკური მონაცემებს რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების გადასაჭრელად;
- ამზადებს გამოყენებით/კვლევით პროექტს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით;
- წარადგენს სტატისტიკური ანალიზის შედეგად ჩამოყალიბებულ დასაბუთებულ დასკვნებს სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან, შესაბამისი ცხრილური და გრაფიკული ფორმებითა და თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

- საკუთარი ცოდნის შეფასების საფუძველზე გეგმავს შემდგომი სწავლის საჭიროებას.

## მოდული: ეკონომიკური პოლიტიკა

კურსდამთავრებული:

**ცოდნა და გაცნობიერება**

- აყალიბებს ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად თეორიებს;
- აანალიზებს ეკონომიკური პოლიტიკის ინდიკატორებს და პოლიტიკის დინამიკის განმაპირობებელ ძირითად ფაქტორებს;
- ადარებს კომბინირებული ეკონომიკური პოლიტიკის სხვადასხვა ვარიანტის შედეგებს;
- აფასებს ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაში მიმდინარე მოვლენებს და პროცესებს.

**უნარი**

- არჩევს ეკონომიკური ცვლილებების მასტიმულირებელ, მათ შორის პოზიტიურ გარემოებებს;
- ადარებს სახელმწიფო შესყიდვების სახეობებს და საშუალებებს;
- დებატებს წარმართავს ეკონომიკური პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე.

## მოდული: შრომის ეკონომიკა

კურსდამთავრებული:

**ცოდნა და გაცნობიერება**

- ხსნის შრომის ბაზარზე შრომის ბაზრის ფორმირებისა და ფუნქციონირების ძირითადი კანონზომიერებების, უმუშევრობის გამომწვევი კონკრეტული მიზეზებისა და შედეგების,

სოციალური პოლიტიკისა და შრომის ანაზღაურების ორგანიზაციის პრინციპების, ხელფასის დიფერენციაციის მექანიზმების, დემოგრაფიული ვითარებისა და მოსახლეობის სივრცობრივი მოძრაობის გავლენას;

- აღწერს ადამიანური რესურსების ფორმირებისა და განაწილების კონკრეტული ვითარების, პროფესიული კადრების მომზადების თანამედროვე სისტემების, სოციალური პოლიტიკის ცალკეულ მიმართულებათა(დემოგრაფიული, მიგრაციული, საოჯახო და ა. შ), შრომის სფეროში საერთაშორისო ორგანიზაციების ფუნქციონირების მთავარ პრინციპებს;
- კრიტიკულად აანალიზებს შრომის ანაზღაურების ორგანიზაციის შეფასებით, ხელფასის დიფერენციაციის აუცილებელი პარამეტრების განსაზღვრით, შრომის ანაზღაურების გამოყენებულ ფორმებსა და სისტემებს.

უნარი

- პროგნოზირებს შრომისა და მოსახლეობის ეკონომიკის, სოციალური პოლიტიკის სფეროს ანალიზისთვის საჭირო ინდიკატორების კომპლექსური გამოყენებით შრომის ბაზრის განვითარების ძირითად პარამეტრებს;
- წარადგენს ქვეყნის დემოგრაფიული განვითარების გათვალისწინებით, შრომის ბაზრის ფორმირების გარე ფაქტორების (ბუნებრივი მოძრაობა, მიგრაცია) სამუშაო ძალის მოთხოვნა-მიწოდებაზე ზეგავლენის განსაზღვრით, ეროვნულ და რეგიონულ შრომის ბაზრებზე სამუშაო ძალაზე მოთხოვნის გაანგარიშებით სამუშაო ძალის მიწოდების რეალიზაციის წინადადებებს.
- სამუშაო ძალის პროფესიული განვითარების სისტემის სრულყოფის წინადადებათა შეფასების საფუძველზე ახდენს პროფესიული მომზადების კონკრეტული პროექტების ორგანიზებას;
- ამზადებს დასაბუთებულ წინადადებებს სახელფასო პოლიტიკის კრიტიკული ანალიზით არადისკრიმინაციული ანაზღაურების სისტემის ფორმირებისათვის.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- იცავს შრომის ეკონომიკის სფეროში საქმიანობისას ეთიკის პრინციპებს;
- ავტონომიურად გეგმავს და ხელს უწყობს საკუთარი და სხვების უწყვეტი პროფესიული განვითარებას.

## მოდული: მენეჯერული ეკონომიკა

კურსდამთავრებული:

**ცოდნა და გაცნობიერება**

- აღწერს მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღებისას გამოყენებული ეკონომიკური თეორიის ფუნდამენტურ კონცეფციებს და პრინციპებს;
- ხსნის მიკროეკონომიკურ დონეზე მიმდინარე მოვლენებს და ფაქტებს თანამედროვე მიკროეკონომიკის ასპექტების გათვალისწინებით.

**უნარი**

- აანალიზებს თეორიულ და პრაქტიკულ სიტუაციებს რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების გადასაჭრელად;
- წარადგენს დასაბუთებულ დასკვნებს სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან შესაბამისი ფორმებით და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.

**ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა**

- წარმართავს საკუთარი სწავლის პროცესს ეთიკის პრინციპების დაცვით.

## მოდული: მაკროეკონომიკა

კურსდამთავრებული:

**ცოდნა და გაცნობიერება**

- აღწერს ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ფუნდამენტური კონცეფციებს, პრინციპებს და თეორიებს;
- ხსნის რეცესიებისა და სავაჭრო დეფიციტის სახელმწიფო რეგულირების მექანიზმებს;
- აყალიბებს ეკონომიკური კრიზისის პირობებში მაკროეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებებს;
- ადგენს მაკროეკონომიკური ინდიკატორების დინამიკის თავისებურებებსა და მის ძირითად განმაპირობებელ ფაქტორებს.

**უნარი**

- აანალიზებს თეორიულ და პრაქტიკულ სიტუაციებს/განყენებულ მონაცემებს რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების გადასაჭრელად;
- წყვეტს რთულ და გაუთვალისწინებელ მაკროეკონომიკურ პრობლემებს ტრადიციული ეკონომიკური თეორიებისა და ზოგიერთი უახლესი მიდგომების გამოყენებით;

- ამზადებს გამოყენებით/კვლევით პროექტს წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით;
- წარადგენს ანალიზის შედეგად ჩამოყალიბებულ დასაბუთებულ დასკვნებს სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან კონტექსტისათვის შესაბამისი ფორმებით და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით და ეთიკის პრინციპების დაცვით.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

- გეგმავს შემდგომი სწავლის საჭიროებს საკუთარი ცოდნის შეფასების საფუძველზე.